

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 6

19 მაისი 2006 წელი

ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის
აპარატის საჯარო თანამდებობის დასაკავებელი დამატებითი
საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

“საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლისა და
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის
მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესის შესახებ დებულების მე-5 მუხლის მეორე
პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო
კომისიის აპარატის საჯარო თანამდებობების დასაკავებელი დამატებითი
საკვალიფიკაციო მოთხოვნები თანდართული ნიმუშის შესაბამისად.
2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში
(მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3
კალენდარული დღის ვადაში.
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი

ქ. ჯიქია

დამტკიცებულია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის 19/05/2006 №6 დადგენილებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის
აპარატის საჯარო თანამდებობების დასაკავებელი დამატებითი
საქვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საერთო სამსახური

1.1. საერთო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:

- ა. უმაღლესი განათლება (იურდიული ან ფილოლოგიური);
 - ბ. სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
 - გ. საქმისწარმოების სფეროში მუშაობის გამოცდილება;
 - დ. კომპიუტერული პროგრამის WORD-ის ცოდნა;
- 1.2. საერთო სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე:
- ა. უმაღლესი განათლება;
 - ბ. კომპიუტერული პროგრამის WORD-ის ცოდნა;

2. საორგანიზაციო სამსახური

2.1. საორგანიზაციო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:

- ა. უმაღლესი განათლება;
 - ბ. მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი და საარჩევნო გამოცდილება;
 - გ. კომპიუტერული პროგრამის WORD-ის ცოდნა;
- 2.2. საორგანიზაციო სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე:
- ა. უმაღლესი განათლება;
 - ბ. კომპიუტერული პროგრამის WORD-ის ცოდნა;

3. იურდიული სამსახური

3.1. იურდიული სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:

- ა. უმაღლესი იურდიული განათლება;
- ბ. სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
- გ. კომპიუტერული პროგრამის WORD-ის ცოდნა;

3.2. იურდიული სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე:

- ა. უმაღლესი იურდიული განათლება;
- ბ. კომპიუტერული პროგრამის WORD-ის ცოდნა;

4. ეკონომიკური სამსახური

4.1. ეკონომიკური სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:

- ა. უმაღლესი ეკონომიკური განათლება;

- ბ. სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
 - გ. კომპიუტერული პროგრამის **WORD**, **EXCEL** –ის ცოდნა;
- 4.2. ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- ა. უმაღლესი ეკონომიკური განათლება;
 - ბ. კომპიუტერული პროგრამის **WORD**, **EXCEL** –ის ცოდნა;

5. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

- 5.1. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:**
- ა. უმაღლესი განათლება (ფილოლოგიური ან ურნალისტიკა);
 - ბ. სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
 - გ. კომპიუტერული პროგრამის **WORD**-ის ცოდნა;
 - დ. უცხო ენის ცოდნა;
- 5.2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- ა. უმაღლესი განათლება (ფილოლოგიური ან ურნალისტიკა);
 - ბ. კომპიუტერული პროგრამის **WORD**-ის ცოდნა;
 - გ. უცხო ენის ცოდნა;

6. კადრების სამსახური.

- კადრების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:**
- ა. უმაღლესი იურიდიული განათლება;
 - ბ. სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
 - გ. კომპიუტერული პროგრამის **WORD**-ის ცოდნა;
- 7. მთავარი ბუღალტერი.**
- ა. უმაღლესი ეკონომიკური ან სპეციალური საბუღალტრო განათლება;
 - ბ. სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;
 - გ. კომპიუტერული პროგრამის **WORD**, **EXCEL** –ის ცოდნა;